

არბიტაჟის გადაწყვეტილების გაუქმება

ირაკლი ცანკაშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარმოდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
სამართლის ფაკულტეტზე სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის
მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად*

სამართლის ფაკულტეტი, სამაგისტრო პროგრამა კერძო (ბიზნეს) სამართალი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: გიორგი ნარმანია, სამართლის მაგისტრი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2016 წელი

როგორც წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ხელმოწერა -----ირაკლი ცანკაშვილი 25.01.2016

სარჩევი

სარჩევი	3
აბსტრაქტი.....	5
Abstract	6
თავი 1. შესავალი.....	7
თავი 2. ძირითადი ნაწილი.	9
2.1 არბიტრაჟის შესახებ კანონის და ნიუ იორკის კონვენციის.....	9
ზოგადი შედარება.	9
2.1.1 საქართველო როგორც კონვენციის ხელშემკვრელი მხარე.	9
2.1.2 არბიტრაჟის გადაწყვეტილების	10
კანონიერ ძალში შესვლა.....	10
2.2 არბიტრაჟის გადაწყვეტილების გაუქმების	12
სამართლებრივი საფუძვლები	12
2.2.1 საქართველოს კანონი არბიტრაჟის შესახებ	12
2.2.2 ნიუ იორკის კონვენცია	13
2.2.3 UNCITRAL-ის „მოდელური კანონი არბიტრაჟის შესახებ“	16
2.2.4 მიმოხილვა	17
2.3 გასაჩვირებისა და გაუქმების საფუძვლები	18
როდესაც მტკიცების ტვირთი მოპასუხეზეა.....	18
2.3.1 ქმედუნარობა.....	18
2.3.1.1 პრაქტიკული მაგალითი, ჰონკონგი.	19
2.3.2 საარბიტრაჟო შეთანხმების	20
ბათილობა ან ძალადაკარგულობა.....	20
2.3.3 შეუტყობინებლობა,	21
საკუთარი პოზიციის წარმოდგენის შეუძლებლობა.	21
2.3.3.1 შეუტყობინებლობა.....	21
2.3.3.2 ქართული პრაქტიკა, სააპელაციო სასამართლო	24
2.3.3.3 ქართული პრაქტიკა N2, სააპელაციო სასამართლო	26
2.3.3.4 საკუთარი პოზიციის წარმოდგენის შეუძლებლობა.	28
2.3.3.5 პრაქტიკული მაგალითი.....	30
ნეაპოლი.....	30

2.3.3.6 პრაქტიკული მაგალითი N2	31
ჰონკონგი	31
2.3.3.7 პოზიციის წარმოდგენის შეუძლებლობის	31
საფუძვლის დაუკმაყოფილებლობა.	31
2.3.4 საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ფარგლები.....	32
2.3.4.1 საქართველოს მაგალითი	34
საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკა.	34
2.3.4.2 საქართველოს მაგალითი N2.....	36
საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკა	36
2.3.4.3 დელოკალიზაციის თეორია	38
2.3.5 არბიტრაჟის შემადგენლობა და საარბიტრაჟო წამოება	39
2.3.5.1 არბიტრაჟის სახეები.....	39
2.3.5.2 არბიტრაჟის შემადგენლობა ან საარბიტრაჟო წარმოება.....	40
არ შეესაბამებოდა მხარეთა შეთანხმებას.....	40
2.3.5.3 ქართული პრაქტიკა	41
სააპელაციო სასამართლო.	41
2.3.5.4 საარბიტრაჟო წამოება არ შეესაბამება	44
იმ ქვეყნის კანონს, სადაც ჩატარდა საარბიტრაჟო განხილვა.	44
2.3.5.5 მაგალითი N2 საქართველოს პრაქტიკა,	45
სააპელაციო სასამართლო.	45
2.4 არბიტრაჟის გადაწყვეტილების გაუქმება	46
სასამართლოს ინიციატივით	46
2.4.1 დავა არ შეიძლება იყოს.....	47
საარბიტრაჟო განხილვის საგანი	47
2.4.2 საარბიტრაჟო გადაწყვეტილება	50
ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს	50
თავი 3.....	55
დასკვნა.	55
გამოყენებული ლიტერატურა/ბიბლიოგრაფია.....	58
ვებ-გვერდები	59

აბსტრაქტი

დღევანდელ მსოფლიოში არბიტრაჟის ინსტიტუტის გამოყენებამ საკმაოდ მასშტაბული ხასიათი მიიღო, მაგრამ პრობლემას წარმოადგენს არბიტრაჟის ინსტიტუტის კვალიფიციურობის და მიღებული გადაწყვეტილებების კანონიერებისა და სამართლიანობის საკითხი. აღნიშნულიდან გამომდინარე ფაქტობრივად შემუშავდა არბიტრაჟის გადაწყვეტილების გაუქმების ერთიანი სამართლებრივი საფუძვლები, ამით შეიქმნა არბიტრაჟის გადაწყვეტილების კონტროლის ერთიანი უნიფიცირებული სიტემა. აღნიშნული საფუძვლები გათვალისწინებულია, როგორც 1958 წლის ნიუ იორკის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენციაში, უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ცნობისა და აღსრულების შესახებ, ასევე UNCITRAL-ის მოდალურ კანონში არბიტრაჟის შესახებ. არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონში და ზემოთ მოყვანილ კონვენციასა და კანონში თითქმის ერთი და იგივე საფუძვლებია მოყვანილი, რაც ამ საფუძვლების საერთაშორისო ბუნების მახასიათებელია. განხვავება მხოლოდ იმაშია, რომ არბიტრაჟის გადაწყვეტილების გაუქმების უფლებამოსილება გააჩნია იმ სახელწიფოს, რომლის ტერიტორიაზეც მიღებულია გადაწყვეტილება, ხოლო უცხო სახელმწიფოს აქვს ცნობა -აღსრულებაზე ურის თქმის უფლება.

საქართველოში არბიტრაჟის ინსტიტუტი არც ისე დიდი ხანია დაარსდა და მხოლოდ ბოლო რამოდენიმე წელია, რაც აქტუალობა ჰპოვა. რა თქმა უნდა ნაკლები გამოცდილების მქონე არბიტრაჟში უფრო მაღალია არაკვალიფიციურობის რისკი, ამიტომ არბიტრაჟის გადაწყვეტილების სამართლიანობის და კანონიერების საკითხი დღესდღეობით უკვე აქტუალურია, თუმცა, ჩვენდა სამწუხაროდ, ცოდნა და გამოცდილება არბიტრაჟის გადაწყვეტილების გაუქმების კუთხით მცირეა. მეტიც, ისეთი მოსამართლე საქართველოში, რომელსაც პრაქტიკაში თავად მიუღია გადაწყვეტილება არბიტრაჟის გადაწყვეტილების გაუქმებასთან დაკავშირებით სულ რამდენიმეა. ვფიქრობ საინტერესოა ამ თემის გაშლა ქართულ პრაქტიკაში და იმ სამართლებრივი საფუძვლების უფრო დეტალურად გაცნობა, რომლებიც ფაქტობრივად

უნიფირებულია და არაერთ ქვეყანაში გამოიყენება. გამომდინარე ყოველივე ზემოაღნიშნულიდან, ვფიქრობ თემის შესწავლა გამოცდილების შემძენი იქნება, როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული კუთხით.

ძირითადი საძიებო სიტყვები: არბიტრაჟი, გადაწყვეტილების გაუქმება, სასამართლო, კანონი, კონვენცია, საჯარო წესრიგი.

Abstract

In today's world use of Arbitration Institute took a rather scale character, but problem is a qualification of Arbitration Institute and issues of taken decisions legitimacy and legality. Based on the above mentioned actually worked out the legal grounds for the annulment of the arbitration decision, thus set up unified system of control of the arbitrators' decision. The above mentioned basis accommodates as United Nations Convention of New York on years of 1958, about A Certificate of foreign arbitral decisions and execution, also about arbitration in Modal law of UNCITRAL. About Arbitration in Georgian law and above mentioned convention and law is almost the same grounds, it characterized by international nature of these grounds. The only difference is that authority of annulment the arbitration decision has the State which territory had been taken decision and foreign state has certificate with right to refuse execution.

Arbitration Institute in Georgia was founded not so long time and only the last few years has become as actually. Of course, in arbitration which has less experience, is higher the risk unqualified, therefore issue of legitimacy and legality decisions of arbitration, nowadays is very actually, but knowledge and experience regarding to annulment of the arbitration decision, unfortunately is smaller. Moreover, total had a few of the judge in Georgia, which has in practice to annulment of the arbitration decision. Therefore, I think that it's interesting to

spread this theme in Georgian practice and introducing a more detailed on those Legal grounds which is factually unified and use in many countries. I think, that the study of theme will be acquirer of experience as theoretically, also practically.

Key words: Arbitration, Annulment of Arbitral, Court, law, Convention, public policy.

თავი 1. შესავალი

მსოფლიო სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების განვითარებას თან მოჰყვა ფართო სახელშეკრულებო ურთიერთობები, ხოლო სახელშეკრულებო ურთიერთობების თანმდევი პროცესი გახლდათ სამართლის სუბიექტებს შორის გამოსაყენებელი კანონმდებლობისა და დავის განხილველი ორგანოს შერჩევა, რასაც შემდგომში, ბუნებრივია, გადაწყვეტიების მიღება, ცნობა და აღსრულება მოჰყვებოდა. არბიტრაჟის ინსტიტუტის ჩამოყალიბებაში სწორედ ამ საფუძვლებმა ითამაშა დიდი როლი, თუმცა გარდა იმისა, რომ არბიტრაჟმა გააადვილა უცხო ქვეყნის სამართლის სუბიექტებს შორის ურთიერთობა, ის ასევე აღმოჩნდა ძალიან მოსახერხებელი დროის თვალსაზრით, რადგან მოგეხსენებათ, სასამართლოში საქმის განხილვა რიგ შემთხვევებში დიდ დროსთან არის დაკავშირებული, ხოლო დრო თანამედროვე მსოფლიოში ძალიან მნიშვნელოვანია. გამომდინარე ზემოთ მოყვანილი საფუძვლებიდან, არბიტრაჟი მიმზიდველი გახდა არა მხოლოდ სხვადასხვა ქვეყნის სამართლის სუბიექტებს შორის ურთიერთობაში, არამედ მთლიანად ბიზნესში. საქართველოში კერძო არბიტრაჟის ინსტიტუტი 1997 წლიდან იღებს სათავეს, როდესაც დაიწერა “კერძო არბიტრაჟის შესახებ” საქართველოს 1997 წლის 17 აპრილის კანონი. ამის შემდგომ კი 2009 წლის 19 ივნისს საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულ იქნა “საქართველოს კანონი არბიტრაჟის შესახებ” რომელიც მოქმედებაში შევიდა 2010 წლის 1 იანვრიდან. აღნიშნული კანონი არეგულირებს პროცესუალურ და მატერიალურ